

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 692

ქ. ბათუმი, 03 აგვისტო 2016 წ

### ქ. ბათუმში, კლდიაშვილის ქ. N25-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 04 ივლისის N25/11324 წერილზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სამსახურის 2016 წლის 05 ივლისის N162044 საპასუხო წერილით (ინფორმაცია ტექნიკური აღრიცხვის არქივიდან) დგინდება, რომ ტექნიკური აღრიცხვის არქივში დაცული საარქივო მასალის შესაბამისად, ქ. ბათუმში, კლდიაშვილის ქ. N25-ში მდებარე სახლთმფლობელობა (ლიტ „ა“ და ლიტ „გ“) აღრიცხულია გივი ჩახვამის, აკოპ აბგარიანისა და ქალაქ ბათუმის მერიის სახელზე. ერთსართულიანი ლიტ „ა“-ს (სარდაფით) საერთო ფართად დაფიქსირებულია 310,95 კვ.მ, ხოლო დამხმარე ნაგებობის ლიტ „გ“-ს ფართად დაფიქსირებულია 3,2 კვ.მ. არქივში დაცული პრივატიზაციის ხელშეკრულებების საფუძველზე გივი ჩახვამის სახელზე აღრიცხულია 79,36 კვ.მ. საერთო (საცხოვრებელი, არასაცხოვრებელი) ფართი, ხოლო აკოპ აბგარიანის სახელზე - 88,90 კვ.მ. საერთო (საცხოვრებელი, არასაცხოვრებელი) ფართი. ამავე საინფორმაციო წერილში აღნიშნულია, რომ მერიის სახელზე აღრიცხული ფართის ოდენობა სააღრიცხვო მასალაში დაფიქსირებული არ არის. თუმცა ტექნიკური აღრიცხვის სააღრიცხვო ბარათის მონაცემებით სახლთმფლობელობა 1939 წლიდან ირიცხება ქალაქის საბჭოზე, ხოლო შემდგომ მოხდა მისი ნაწილის პრივატიზება ზემოთ მითითებულ ფიზიკურ პირებზე. საარქივო მასალაში არსებული საინვენტარიზაციო გეგმის თანახმად (მომზადების თარიღი: 20.07.2012წ), ხსენებული სახლთმფლობელობა განლაგებულია 784,05 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე.

უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის მონაცემებით დგინდება, რომ ქ. ბათუმში, კლდიაშვილის ქ. N25-ში მდებარე მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია დაზუსტებული საკადასტრო მონაცემებით: მიწის ნაკვეთის ფართობი დაზუსტებული - 720,0 კვ.მ., საკადასტრო კოდი - 05.22.16.015. ამ ნაკვეთზე არსებული ხსენებული 310,95 კვ.მ შენობა დღეისათვის დანგრეულია (დემონტირებულია).

ხსენებულ უძრავ ქონებაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების/თანასაკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამასთანავე, ქ. ბათუმის ადგილობრივი მმართველობის/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მითითებული სახლთმფლობელობიდან საცხოვრებელი/არასაცხოვრებელი ფართის პრივატიზება, გარდა ზემოთ ხსენებული პირებისა, სხვა პირზე არ განუხორციელებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 106-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი, შეძენილი ან რეგისტრირებული ქონება. 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონით მუნიციპალიტე-

ტისთვის მიკუთვნებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე, მათ შორის, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ობიექტებზე, დამაგრებელი მიწა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ მე-14 მუხლის 30-ე პუნქტის შესაბამისად, „თუ საკუთრების უფლების რეგისტრაცია-რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია მოთხოვნილია შენობა-ნაგებობაზე ან მის ერთეულზე, ხოლო გარემოებათა გამოკვლევით დასტურდება, რომ აღნიშნული ნაგებობა რეგისტრაციის მოთხოვნის მომენტისათვის აღარ არსებობს, რეგისტრაცია წარმოებს მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის/ერთეულის მესაკუთრის წილის შესაბამისად.“

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ბათუმში, კლდიაშვილის ქ. N25-ში მდებარე უძრავ ნივთზე ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში არსებულ საადრიცხვო ბარათში (საარქივო მასალა) აღრიცხული (დაცული) მონაცემების საფუძველზე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 106-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. განხორციელდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში, ქ. ბათუმში, კლდიაშვილის ქ. N25-ში მდებარე 720,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.22.16.015) წილზე, 310,95 კვ.მ. შენობა-ნაგებობაში (ლიტ „ა“) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ტექნიკურს მონაცემების შესაბამისად) ფართის (142,69 კვ.მ.) წილის პროპორციულად.

2. ეთხოვოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ უძრავ ქონებაზე ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

3. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილების მთავარ სპეციალისტს ხათუნა კობალაძეს (პირადი ნომერი N61001010495).

4. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი